ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1325224001**

თარიღი:**12/08/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით**:**

ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტები (შენობა-ნაგებობები) დანართის შესაბამისად;

ბ) საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა-ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

გ) საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);

დ) ამ განკარგულებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს კერძო მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე, მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

ე) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე:

ე.ა) საკულტო ნაგებობებზე (ეკლესია-მონასტრები და ნებისმიერ კონფესიას მიკუთვნებული საკულტო დაწესებულებების შენობა-ნაგებობებზე),

ე.ბ) „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობებზე,

ვ) შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, რომლებშიც განთავსებულია:

ვ.ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სხვა ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულება (მისი სტრუქტურული ერთეული, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირი),

ვ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობები; ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი),

ვ.გ) ახალციხის რაიონული სასამართლო,

ვ.დ) სამცხე- ჯავახეთის საოლქო პროკურატურა,
ვ.ე) საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების სტრუქტურული დანაყოფები;
ზ) გარე განათების ბოძებზე;
თ) საგზაო ნიშნებზე.

2. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების (ობიექტების) თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge., გამოცხადდეს საჯაროდ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ა).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსებისათვის გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტები

1	ახალციხის მუნიციპალიტეტი	გასაჭიმი ბანერების განთავსება დაშვებულია დასახლებული პუნქტებში არსებულ გზებზე, არანაკლებ 3.8 მ-ის სიმაღლეზე
	ქ. ახალციხე	საფარის ქუჩაზე არსებული კედელი;
		დიდიმამიშვილის ქუჩაზე (N10-12-ის მოპირდაპირედ), ხუთსართულიანი კორპუსის დაბლა მდებარე კედელი
		რუსთაველის ქ. № 124-ის გასწვრივ არსებული კედელი (ყოფილი სასაზღვრო ნაწილი)
		თამარაშვილის ქუჩა №57-ის ქვემოთ არსებული კედელი
		თამარაშვილისა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის არსებული საავტომობილო გზის (რკინიგზის ხიდიდან აღმოსავლეთით) მონაკვეთის გასწვრივ არსებული საყრდენი კედლები
		ყაზბეგის ქუჩაზე არსებული მინი სპორტული მოედნის კედელი (საავტომობილო გზის გასწვრივ)
2	ქ. ვალე	ავტობუსის მოსაცდელი
		სარეკლამო დაფა მუსიკალურ სკოლასთან
		სტალინის ქუჩის გასწვრივ არსებული საყრდენი კედელი
		მუნიციპალიტეტის საქმიანი ეზოს ღობე
		ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე - საყრდენი კედელი
		ქალაქ ვალის რიტუალების სახლის ფასადი
		მეორე შახტაში საბავშვო ბაღის ღობე
		მესამე შახტაში საავტომობილო გზების გაწვრივ არსებული შენობების ფასადები
3	სოფ. აწყური	ავტობუსის მოსაცდელები
		"გაღმა აწყურში" მდებარე წყაროს მიმდებარედ არსებული საყრდენი კედელი
		გზის საყრდენი კედელი

4	სოფ. თისელი	სოფლის ცენტრში წყაროს მიმდებარე ტერიტორია
		მგზავრთა მოსაცდელის საინფორმაციო დაფა
5	სოფ. ტყემლანა	სოფლის ცენტრში წყაროს მიმდებარე ტერიტორია
		რიტუალების სახლის შენობის ფასადი
6	სოფ. აგარა	აგარა საყუნეთს დამაკავშირებელი ხიდის მოაჯირი
		ავტობუსის მოსაცდელი
7	სოფ. გურკელი	რიტუალების სახლის შენობის კედელი
8	სოფ. ზიკილია	სკოლის მოპირდაპირე მხარეს ბეტონის კედელი
		რიტუალების სახლის შენობის ფასადი
9	სოფ. წინუბანი	რიტუალების სახლის ფასადი
		სოფლის სახლის მიმდებარედ არსებული სკვერის ღობე
10	სოფ. საყუნეთი	ყოფილი კლუბის აივანი
11	სოფ. ფერსა	ყოფილი კლუბის აივანი
12	სოფ. გიორგიწმინდა	რიტუალების სახლის ფასადი
		მგზავრთა მოსაცდელის საინფორმაციო დაფა
13	სოფ. მუგარეთი	რიტუალების სახლის ფასადი
		მგზავრთა მოსაცდელის საინფორმაციო დაფა
14	სოფ. კლდე	ახალგაზრდული ცენტრის მიმდებარე საავტომობილო გზის საყრდენი კედელი
		მგზავრთა მოსაცდელების საინფორმაციო დაფა
		გზის საყრდენი კედელი, სოფლის ცენტრში-საბავშვო ბაღის მიმდებარედ
15	სოფ. წნისი	ყოფილი კლუბის შენობა
		მგზავრთა მოსაცდელი

		საბავშვო ბაღის ღობე
16	სოფ. სვირი	ავტობუსის მოსაცდელი
		რიტუალების სახლის შენობის ფასადი
17	სოფ. ბოგა	რიტუალების სახლის ფასადი
		ყოფილი სკოლის შენობის ფასადი
		ავტობუსის მოსაცდელი
18	სოფ. ტატანისი	საავტომობილო გზების გასწვრივ არსებული საყრდენი კედლები
		ავტობუსის მოსაცდელები
19	სოფ. ანი	ძირის გზის გასაყარზე მოსაცდელის შენობა
		რიტუალების სახლის შენობის ფასადი
		ძველი კლუბის შენობის ფასადი
20	სოფ. ელიაწმინდა	მგზავრთა მოსაცდელის საინფორმაციო დაფა
		რიტუალების სახლის ფასადი
21	სოფ. ჭვინთა	მოსაცდელი შენობის კედელი
		რიტუალების სახლის შენობის ფასადი
22	სოფ. წირა	რიტუალების სახლის შენობის ფასადი
23	სოფ. წყრუთი	რიტუალების სახლის შენობის ფასადი
		წყაროსთან არსებული კედელი.
24	სოფ. მიქელწმინდა	რიტუალების სახლის ფასადი
25	სოფ. სხვილისი	ძველი სკოლის შენობის ფასადი
		ობელისკთან არსებული საყრდენი კედელი

26	სოფ. ივლიტა	რიტუალების შენობის ფასადი
27	ზემო სხვილისი	რიტუალების სახლის ფასადი
28	სოფ. აბათხევი	სოფლის თავშეყრის ფარდული
29	სოფ. ნაოხრები	ყოფილი კლუბის შენობა
		რიტუალების სახლის ფასადი
		ძველი მაღაზიის ფასადი
30	სოფ. წინუბანი	სოფლის თავშეყრის ფარდული
		ძველი კლუბის შენობის ფასადი
31	სოფ. წყალთბილა	სოფლის თავშეყრის ფარდული
		ყოფილი ამბულატორიის შენობის ფასადი
		ძველი მეურნეობის ავტოფარეხის შენობის ფასადი
		სკვერის ღობე
32	სოფ. ჯულღა	რიტუალების სახლის შენობის ფასადი
		სოფლის თავშეყრის ფარდული
33	სოფ. დიდი პამაჯი	წყაროსთან ყოფილი საწყობის შენობის ფასადი
		ყოფილი კლუბის შენობის ფასადი
34	სოფ. ორალი	სოფლის სასაფლაოს პერიმეტრზე არსებული ღობე
		სკოლასთან არსებული ღობე
		წყაროსთან არსებული კედელი
35	სოფ. პატარა პამაჯი	ყოფილი კლუბის შენობის ფასადი
		ავტობუსის მოსაცდელი
36	სოფ. ყულალისი	რიტუალების სახლთან არსებული კედელი
37	სოფ. საძელი	სოფლის ცენტრში წყაროსთან
		ყოფილი ამბულატორიის შენობის კედელზე
38	სოფ. ხაკი	სოფლის რიტუალების სახლის კედლებზე

39	სოფ. მინაძე	წითელი ხიდის მოაჯირები
40	სოფ. ღრელი	საინფორმაციო დაფა
41	სოფ. ჭაჭარაქი	თავშეყრის ადგილზე საინფორმაციო დაფა
		მგზავრთა მოსაცდელი
42	სოფ. ანდრიაწმინდა	რიტუალების სახლის ფასადი, ავტობუსის მოსაცდელი
43	სოფ. ანდა	სოფლის ცენტრში მდებარე წყაროსთან არსებული კედელი, მგზავრთა მოსაცდელი
44	სოფ. წყორძა	რიტუალების სახლის ფასადი
		ყოფილი კლუბის შენობის ფასადი
		ახალშენის წყლის გამანაწილებლის შენობა
45	ურაველი	საბავშვო ბაღთან ღობე
		გაღმა უბნის ავტობუსის მოსაცდელი
		რიტუალების სახლთან ღობეზე და გზის მიმდებარედ არსებული საყრდენი კედელი
		მგზავრთა მოსაცდელის საინფორმაციო დაფა
46	მუსხი	ძველი საცხობის შენობა
		კულტურის სახლის ფანჯარა
		მგზავრთა მოსაცდელის საინფორმაციო დაფა
47	ხეოთი	ცენტრში ყოფილი საწყობის შენობის ფასადი
		ყოფილი მაღაზიის შენობის ფასადი
		რიტუალების სახლის შენობის ფასადი
		მგზავრთა მოსაცდელი